საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.06.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №078/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ქ.-ის /სიითი № / მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ქ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 ივნისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. გ.-მ ადვოკატ ლ. ქ.-ის წინააღმდეგ. 2018 წლის 6 ივლისს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა თავისი პოზიცია.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით მის საკუთრებაში ირიცხება მცხეთის რაონში, სოფელ საგურამოში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის გვერდით მდებარე მიწის ნაკვეთი 2009-2013 წლებში ეკუთვნოდა აწ გარდაცვლილ ო. ქ.-ს. მ. გ.-ის განცხადებით, ადვოკატმა ლ. ქ.-მ, რომელიც არის ო. ქ.-ის ქალიშვილი, აღდგომის დადგომამდე დაურეკა მას და სთხოვა მ. გ.-ის საკუთრებაში აღრიცხული მიწის ნაკვეთის ნაწილის მის სასარგებლოდ გადაფორმება, რის საფუძვლად უთითებდა ნაკვეთის აზომვითი ნახაზის უზუსტობაზე, ასევე ემუქრებოდა, რომ უარის შემთხვევაში სასამართლოს დახმარებით გადაიფორმებდა ნაკვეთს. სადაო ნაკვეთის სანაცვლოდ ადვოკატი საჩივრის ავტორს პირდებოდა მეზობლად განლაგებული ნაკვეთების ნაწილს.

1.3 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სატელეფონო კომუნიკაციის დროს ადვოკატმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. კერძოდ, ლ. ქ.-მ აღდგომის დღეებში დაურეკა მ. გ.-ს და იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს არ მოსწონდა ადვოკატის მიერ შემოთავაზებული პირობები, ლ. ქ.-მ მიმართა მას შემდეგი სიტყვებით: „ნუთუ ღმერთის არ გეშინია“, „ურწმუნო ყოფილხარ“. მ.

გ.-ის განმარტებით, ლ. ქ.-სთან შემდგომი შეხვედრი დროს ადვოკატს მისთვის შეურაცმყოფელი სიტყვებით აღარ მიუმართავს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას ემუქრებოდა ადვოკატად მუშაობის 22 წლიანი სტაჟით და სადავო საქმის წარმოების დროს მოქმედებდა, როგორც იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი. ამავდროულად, ლ. ქ. ახორციელებდა ადვოკატისთვის შეუფერებელ ქმედებებს, კერძოდ ადვოკატმა საჯარო რეესტრში წარადგინა ყალბი საბუთი.

2. მოწმე ბ. ა.-ის პოზიცია:

2.1 მოწმე, ბ. ა.-მ, რომელიც არის საჩივრის ავტორის მ. გ.-ის მეუღლე, 2018 წლის 9 აგვისტოს გამართულ საპროცესო სხდომაზე განმარტა, რომ ლ. ქ. მ. გ.-ს პირველად 2018 წლის მაისში დაეკონტაქტა. ლ. ქ.-სთან შეხვედრის დროს მან მათ საერთო მეზობელს, ლ. ს.-ს დააბრალა ბ. ა.-ისა და მ. გ.-ის კუთვნილი მიწის ნაწილის მითვისება. ლ. ქ.-მ ლ. ს.-ს უწოდა „ნაგავი, უნამუსო ადამიანი“.

2.2 ბ. ა.-მ აღნიშნა, რომ ლ. ქ. იყენებდა ადვოკატის სტატუსს და საუბარში ხშირად მიუთითებდა ადვოკატად მუშაობის 22 წლიან სტაჟზე. ასევე, ადვოკატმა საუბარში აღნიშნა, რომ მას შეეძლო სასამართლოში წასვლა და დავის მის სასარგებლოდ დასრულება.

2.3 მოწმე ბ. ა.-ის განმარტებით, ლ. ქ.-მ მას და მ. გ.-ს სთხოვა ამზომველთან შეხვედრა. შეხვედრის დროს ლ. ქ.-მ განაცხადა, რომ არასწორად ჰქონდათ აზომილი მიწის ნაკვეთი და დაადანაშაულა, ამზომველისთვის ქრთამის გადახდაში. ასევე ადვოკატმა მათ განუცხადა, რომ თავიდან აზომავს მიწას და რაც მას ეკუთვნის დაირეგისტრირებს. ბ. ა.-ის განმარტებით, მ. გ.-მ უთხრა ადვოკატს, რომ მიწა მათია და ის რაც მათ მიწაზეა დაექვემდებარება დანგრევას, რაზედაც ლ. ქ.-მ თქვა - „გაიტანონ იმ ადამიანის კუბო აქედან, ვინც ჩემს მიწას ახლებს ხელს“.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატმა, ლ. ქ.-მ 2018 წლის 5 ივლისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საგურამოში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მამის, ო. ქ.-ის საკუთრებას, სადაც მან აიშენა საცხოვრებელი ფართი და იქ ცხოვრობდა გარდაცვალებამდე. 2018 წლის 6 ივნისს, მემკვიდრეებმა საჯარო რეესტრს მიმართეს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე უძრავი ქონების რეგისტრაციის მიზნით, რა დროსაც აღმოაჩინეს, რომ მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკუთრე მ. გ.-ს, მისი მეუღლეს, ბ. ა.-ს და საჩივრის ავტორისთვის უცნობ სხვა პირებს ყადაღის მოთხოვნის შესახებ განცხადება ჰქონდათ წარდგენილი საჯარო რეესტრში. აღნიშნულის გამო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო უძრავ ქონების დარეგისტრირება და მხოლოდ 2018 წლის 28 ივნისს მოახერხა საკუთრების რეგისტრაცია.

3.2 ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ 2018 წლის 29 ივნისს მიმართა საჯარო რეესტრს აზომვითი ნახაზის საფუძველზე, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით. ვინაიდან აზომვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო არასწორი საკადასტრო მახასიათებლებით. კერძოდ, რეგისტრირებული მონაცემებით, მ. გ.-ის მიწის ნაკვეთი ფარავდა ლ. ქ.-ის მიწის ნაკვეთს.

3.3 2018 წლის 9 აგვისტოს გამართულ საპროცესო სხდომაზე ლ. ქ.-მ განმარტა, რომ მ. გ.-ის ახლობელს დაუკავშირდა, რომელსაც აუხსნა პრობლემა და მ. გ.-ის თანხმობით გამოართვა ნომერი. ამის შემდეგ, ლ. ქ. დაუკავშირდა მ. გ.-ს ტელეფონზე, სთხოვა აეზომა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი და ერთობლივად მოეწესრიგებინათ პრობლემა. სატელეფონო საუბრისას ლ. ქ. და მ. გ.

შეთანხმდნენ შეხვედრაზე და რამოდენიმე დღეში შეხვდნენ იუსტიციის სახლთან მიმდებარე ამზომველ კომპანიაში, სადაც ლ. ქ.-მ მიიტანა ნახაზების ელექტრონული ვერსია.

3.4 საპროცესო სხდომაზე ლ. ქ.-მ განმარტა, რომ მ. გ. ნაკვეთის მესაკუთრე გახდა ბოლო ერთი თვეა. ეს ნაკვეთი ადრე ეკუთვნოდა სხა პიროვნებას, რომელმაც გაასხვისა მ. გ.-ის მაზლზე. მ. გ.-მ იუსტიციის სახლიდან გამოთხოვილი დოკუემენტაციიდან ასევე გაარკვია, რომ მ. გ.-ის მაზლის გარდაცვალების შემდეგ მიწის ნაკვეთი მემკვიდრეობით მიიღო მ. გ.-ის მეუღლემ, ბ. ა.-მ. ამ უკანსაკნელმა კი მიწის ნაკვეთი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძელზე გადაუფორმა მ. გ.-ს.

3.5 ადვოკატი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ მ. გ.-ს არ დამუქრებია სასამართლოთი, რადგან სასამართლო არ არის ადვოკატის კერძო საკუთრებაში არსებული სამსახური და არც მუქარის საშუალება. ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა მისი უფლებები, მიმართავს სასამართლოს არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც მოსარჩელე. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მას არ გამოუყენებია ადვოკატის სტატუსი რაიმე პირადი მიზნებისთვის. პირიქით, თვეზე მეტია მ. გ.-ის მიერ წარდგენილ განცხადებებზე და საჩივრებზე არაერთ დაწესებულებაში უწევს პასუხის გაცემა. საპროცესო სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატის სტატუსის ხსენება დასჭირდა მხოლოდ იმის ასახსნელად, რომ მათ შორის არსებული დავა დაკავშირებულია დროსთან და ხარჯებთან, ამიტომ ჯობდა თავად მოეგვარებინათ პრობლემა, რადგან ის მოღვაწეობს საადვოკატო სფეროში და მსგავსი თემა მისთვის ნაცნობია. ლ. ქ.-მ ადვოკატის სტატუსი ასევე ახსენა, მაშინ, როდესაც მ. გ.-მ უთხრა მას, რომ დაენგრია შენობა, რაზეც ადვოკატმა უთხრა - „მე როგორც ადვოკატს, ოფისში მიდევს ოცდაათი საქმე, ოცდამეთერთმეტესაც დავიმატებ და ჩემს სიმართლეს გავარკვევ“.

3.6 საპროცესო სხდომაზე ლ. ქ.-მ განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი არის მისი საკუთრება, შესაბამისად ის არ მოქმედებდა როგორც ადვოკატი, ის მოქმედებდა მისი ოჯახის ინტერესებისთვის და საკუთარი ქონების დასაცავად. ამასთანავე, სადაო ურთიერთობაში ყველა ორგანოსთან ურთიერთობისას გამოდის, როგორც ქონების მესაკუთრე. რაც შეეხება მის პროფესიას, მას აქვს იურიდიული განათლება და შესაბამისად ამ განათლებას იყენებს მისი უფლებების დასაცავად.

3.7 ადვოკატმა უარყო მოწმის განმარტება ლ. ს.-სთვის შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე და მიუთითა, რომ ამ პიროვნებას არ იცნობს და მას არასოდეს შეხვედრია. ლ. ქ.-მ განმარტა, რომ მან აუხსნა მ. გ.-ს, რომ ლ. ს.-ს მიწის ნაკვეთსაც არასწორი მახასიათებლები ჰქონდა და ის ფარავდა მის ნაკვეთს.

3.8 ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მას არ უთქვამს შემდეგი სიტყვები: - „გაიტანონ იმ ადამიანის კუბო აქედან, ვინც ჩემს მიწას ახლებს ხელს“.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ლ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 მ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 15 ივნისს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ქ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატი ლ. ქ. საჩივრის ავტორთან კერძო საუბრისას ხშირად იყენებდა ადვოკატის სტატუსს, აღნიშნავდა, რომ არის ადვოკატი 22 წლიანი სტაჟით და მათ შორის არსებული სადავო სამართლებრივი ურთიერთობის გადასაწყვეტად ის მოქმედებდა, როგორც ადვოკატი. ამასთანავე, მ. გ.-ის პრეტენზიით, ლ. ქ. ახორციელებდა ადვოკატისთვის შეუფერებელ მოქმედებებს, მან ყალბი საბუთი წარადგინა საჯარო რეესტრში და საჩივრის ავტორს მიმართა შეურაცმყოფელი სიტყვებით: „ნუთუ ღმერთის არ გეშინია", „უწმუნო ყოფილხარ".

6.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-6 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა". ამავე დებულების მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში". „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5, მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის". ეთიკის კომისია განიხილავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრის მიმართ შემოსულ საჩივარს, სადაც უნდა აღინიშნოს ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პროფესიული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები. ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევა შესაძლოა მოხდეს კლიენტებთან, კოლეგებთან, სასამართლოსთან ან პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას.

6.3 მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, დგინდება, რომ მ. გ.-სა და ლ. ქ.-ს შორის მიმდინარეობს დავა, რომელიც ეხება მათ საკუთრებაში არსებული, მცხეთის რაიონ, სოფელ საგურამოში მდებარე მიწის ნაკვეთების სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტებზე, კერძოდ საქმეში წარმოდგენილია 2018 წლის 06 ივნისს გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც ლ. ქ.-მ და მისმა ძმამ ჭ. ქ.-მ მიიღეს მამის, ო. ქ.-ის უძარავ-მოძრავი ქონება, მათ შორის სოფელ საგურამოში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა. საქმეში ასევე წარმოდგენილია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 2018 წლის 28 ივნისის მდგომარეობით, რომლითაც დასტურდება, რომ მცხეთაში, საგურამოში (ს/კ XX.XX.XX.Y) მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეები არიან ლ. ქ. და ჭ. ქ.. საჩივრის ავტორის განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის, 2018 წლის 10 მაისის ამონაწერის მიხედვით კი დგინდება, რომ მცხეთაში, სოფელ საგურამოში (ს/კ XX.XX.XX.XXX) მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა საჩივრის ავტორი

მ. გ.. საკუთრების უფლების საფუძველზე, ლ. ქ.-მ 2018 წლის 29 ივნისს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე ცვლილებების რეგისტრაცია, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი განცხადების მიღების ბარათით. საქმეში არსებული, 2018 წლის 05 ივლისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილებით N-- ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან დაფიქსირდა ზედდება მ. გ.-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთთან, შეჩერების საფუძვლის აღმოსაფხვრელად ლ. ქ.-ს დაევალა კორექტირებული აზომვითი ნახაზის წარმოდგენა. საქმეში ასევე წარმოდგენილია ორთოფოტო, საიდანაც დგინდება, რომ მ. გ.-სა და ლ. ქ.-ის ნაკვეთები მომიჯნავე მიწის ნავეთებია.

6.4 მხარეთა ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ ლ. ქ.-მ მ. გ.-ს მიმართა მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაზუსტებისა და სწორი მახასიათებლებით განსაზღვრის მიზნით, რასაც თავის მხრივ მ. გ. არ დაეთანხმა. ის მიიჩნევს, რომ თავად ლ. ქ.-მ არ გადაზომა მისი მიწის ნაკვეთი სწორი სამართლებრივი მახასიათებლებით.

6.5 საჩივრის ავტორის პრეტენზია, იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ლ. ქ. სარგებლობდა ადვოკატის სტატუსით და მას იყენებდა საკუთარი საქმის საწარმოებლად, არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებების დარღვევად, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ლ. ქ.-სა და მ. გ.-ს შორის სამართლებრივი დავა მიმდინარეობს. შესაბამისად, მათ უფლება აქვთ საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართონ შესაბამისად ორგანოებს, მათ შორის სასამართლოს და გამოიყენონ ყველა რესურსი რაც გააჩნიათ, მათ შორის ცოდნა და გამოცდილება.

6.6 მხარეთა ახსნა-განმარტებების და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ასევე დგინდება, რომ მ. გ. სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში არ არის ლ. ქ.-ის კლიენტი, კოლეგა ან პროცესის მონაწილე მხარე. ლ. ქ.-სა და მ. გ.-ს შორის არსებობს დავა, რომელსაც ადვოკატი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზეა ორ კერძო პირს შორის დავა, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ შორის არსებულ ურთიერთობაზე არ ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი. აღნიშნული საფუძვლით, ეთიკის კოდექსის მოქმედება ასევე არ ვრცელდება, საჩივრის ავტორის შემდეგ პრეტენზიაზე, რომლის მიხედვით ლ. ქ.-მ მას უწოდა „ურწმუნო ადამიანი“. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ ლ. ქ.-ის ქცევა მ. გ.-ის მიმარ, ვინაიდან კომისია აფასებს ადვოკატის მხოლოდ პროფესიულ ქცევას. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' მე-9 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 078/18 ადვოკატ ლ. ქ.-ის მიმართ /სიითი № / შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/